

მარინა ცალქალამანიძე

ფერისა და განწყობის თეორიის ასპექტები

არქიტექტურულ დიზაინში

(საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგალითზე)

სადოქტორო პროგრამა: არქიტექტურა

შიფრი 1101

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ფერი ერთ-ერთ მთავარ და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მისი ცხოვრებისეული ქმედითუნარიანობის ფორმირებაში. ნაშრომში წარმოდგენილია ფერის შეგრძნებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა შინაარსზე ყურადღების სწორი ფოკუსირების საშუალებას იძლევა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინტერიერის პროექტირებისას მეცნიერული მიდგომის პრაქტიკაში გამოყენების აუცილებლობას წარმოადგენს.

ნაგებობათა არქიტექტურის, მათი შიდა სივრცეების, კონსტრუქციების, ფუნქციური დანიშნულებისა და ამ ყოველივეს ადამიანზე ემოციურ ზემოქმედებასთან ჰარმონიული სინთეზის მისაღწევად, მეტად მნიშვნელოვანია ფერის არა მხოლოდ დეკორატიულ-ესთეტიური ფაქტორის, არამედ მასთან დაკავშირებული ასოციაციური შეგრძნებების გამოყენებაც, რაც წარმოშობს საჭირო ფსიქო-ემოციურ განწყობას, ქმნის განსაკუთრებულ, მოცემული ფუნქციის შესაბამის ფსიქოლოგიურ კლიმატს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ფერის შემეცნებითი, კრეატიული და კომუნიკაციური ასპექტების ახლებური გააზრება თანამედროვე მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური პლატფორმის დონეზე.

საზოგადოებაში ინფორმაციის გაცვლის პროცესში წარმოიშვება კომუნიკაცია არა მხოლოდ პიროვნულ დონეზე, არამედ - ადამიანებსა და მათ გარემოცვას შორის. ინფორმაციის ამგვარი გაცვლა შესაძლებელია ვიზუალური სიმბოლოების მეშვეობით, სადაც ფერი ერთ-ერთი მედიუმია სოციალურ

სივრცეში. სწორედ ამიტომ იყო, რომ კულტურის ფესვებში ფერს გააჩნდა სიტყვის ფასი, იყო განსხვავებული საგნების თუ გაგებების სიმბოლო. ფერის მნიშვნელობისა და არსის განხილვისას ვლინდება მისი განუყოფელი კავშირი ადამიანის განვითარების სტადიებთან, მის ქცევას, აზროვნებასა და ინტელექტს შორის. ვინაიდან სინათლე და ფერი წარმოადგენს ძლიერ სტიმულს ადამიანის ცხოველმყოფელობისა, კანონზომიერია, რომ სემანტიკური ველების ფერთი მნიშვნელობები, ისევე, როგორც ფერთა კანონები, ათასწლეულების მანძილზე ინახებოდა სხვადასხვა კულტურებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ძირითადი მონაცემების მიხედვით, რომელიც მეცნიერებამ ფერის შესახებ შეიმუშავა, შესაძლებელი გახდა ფერის მოდელირების მეშვეობით ადამიანის ხატოვანი აზროვნების შემეცნება - გაგება. საგულისხმოა, რომ ფერთან დაკავშირებული ასოციაციები, რომელიც ეყრდნობა ბუნების ჩვეულ შეგრძნებებს, თავისი იდენტობით ადამიანის ქმედითი ფუნქციებისა და ფსიქოლოგიური განწყობის შესაბამისობით, ქმნის კომფორტულობის პირობას არქიტექტურულ გარემოში არა მხოლოდ სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანთა ჯგუფებისთვის, არამედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვისაც, რომელთათვის ფერის სწორად გამოყენებით შესაძლებელია გაუმჯობესდეს ორიენტაცია და მობილობა დახურულ სივრცეში.

აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია, ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობისთვის ინტერიერის პროექტირებისას, გათვალისწინებულ იქნას ფერთა სივრცითი ჰარმონიების აგების პრინციპები, რომელიც ფერთა სიმბოლოების მნიშვნელობებისა და მათი კომბინაციებით შექმნილი ასოციაციური ეფექტის ზეგავლენით არის განპირობებული. მრავალი კულტურის მიერ ძირითადი ფერების მნიშვნელობა დაკანონდა როგორც პიროვნების თვისებათა შეუცნობადი მახასიათებელი, შესაბამისად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ადამიანის საკეთილდღეოდ ფერთ - კომპოზიციური გადაწყვეტების პროგნოზირებისას საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების, კერძოდ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინტერიერის უნივერსალური პროექტირების პროცესში, რითაც შეიქმნება წინაპირობა ადამიანის ჰარმონიული განვითარების, მისი ცხოვრების კეთილმოწყობის, კომფორტულობისა და ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ინკლუზიურ პირთათვის ყოფის ოპტიმალური პირობები. ამდენად, ჩვენს მიერ არჩეული თემის მნიშვნელობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლე გამოიხატება საგანმანათლებლო დაწესებულებათა სასწავლო სივრცის კოლორისტული ორგანიზაციის საკითხების ინტერიერის პროექტირების პროცესის განუყოფელ ნაწილად წარმოჩენასა და მეთოდოლოგიურად დასაბუთებულ დებულებებში შეთავაზებული ფერთი სქემების მეშვეობით ამ დაწესებულებათა ინტერიერში განწყობის დაგეგმვის, შედეგების პროგნოზირების და ობიექტური შეფასების თვალსაჩინოდ წარმოდგენაში.

ჩვენს მიერ ჩატარებული საავტორო ქრომ-ტესრების შედეგებით გამოვლენილი ფერთი უპირატესობების განზოგადება არის ჩვენი ნაშრომის ძირითადი თემა. ფერის საშუალებით გარემოს ფორმირების და განწყობის მართვის კონტექსტში შესრულებული შემოთავაზებული ნაშრომი არის არა მარტო რეტროსპექტიული და დღევანდელი მდგომარეობის აღმწერი მასალა, არამედ პერსპექტიული მიდგომებისა და ტექნოლოგიების ამსახველი ნაშრომი, რომელიც განსახილველ დარგში დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნქციასაც შეითავსებს.

შეთავაზებული წინადადებები და რეკომენდაციები დაეხმარება პროფესიონალებს პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში და მოახდენს საზოგადოების ცნობიერებაში ფერთ-კომპოზიციური გადაწყვეტების ახალი მოდელის დამკვიდრებას. კვლევაში განხილული საკითხები მნიშვნელოვნად შეავსებს არქიტექტურის თეორიის საკითხებს და იქნება ბაზა შემდგომი თეორიული ძიებებისთვის.

Marina Tsalkalamanidze

Aspects of color and mood theory in architectural design (On the example of educational institutions)

Doctoral Program: Architecture

1101

Submitted in partial satisfaction of the requirements for the academic degree of
doctor of Architecture

Abstrakt

Color played important role, during history of mankind. In this work, we discuss the role of color in design of buildings. We focus on importance of color for creating the harmony and comfortable environment in educational facilities. We emphasize the necessity of using modern science-based approach in planning and designing interiors of educational facilities.

When choosing colors for inner space of the building it is important to consider not only decorative and esthetic aspects of color, but also what associations it creates. Choice of color should help to create emotional connection with design of building and its function. Harmonious environments create socioemotional mood and special climate that

is better aligned with the function of the given space. In this context, it is important to consider modern understanding and usage of color as communicative and creative tool.

In modern society, during the process of exchanging the information, communication is taking place not only between people, but also between people and the environment. This exchange of information is possible with the help of visual cues where color serves as a medium. This is why color has value of word and a symbolic meaning. Color can be used to describe an object and also to give the key to understanding its function. When studying the role and the importance of color we find connection between the use of color and the development of human thinking, psychology and behavior. Since light and color represent strong stimuli for humans, semantic encoding of color and its meaning is maintained in different cultures for thousands of years. Based on data collected by scientists about use of color, it became possible to model and understand human creativity and thinking. The colors related with nature, create feeling of comfort when used in building design. Use of color cues to help people to navigate inside buildings are helpful for everybody, and for people with the limited abilities, in particular.

It is important that interior design of buildings use colors that are chosen with spatial harmony in mind. Use of color should be based on principals of associative and symbolic cues and be harmonious. In many cultures, symbolic mining behind each color could be used to benefit people and create comfortable environment. Creating compositions and designing space where people could study and work in harmony with the surrounding environment is especially important in educational institutions. Planning and designing buildings with this ideas in mind would help build space that should stimulate creativity. It is also beneficial for people with limited abilities to create inclusive environments where these people feel comfortable. Based on the aforementioned statement, the importance of the topic of our study is obvious.

Scientific novelty of this work is that we demonstrated importance of using color cues in interior design of buildings in general and educational facilities. Our methods allowed identification of the color schemes that should help to design the interiors that will promote harmonious environments.

We performed personalized Color Quiz that helped us to identify color preferences. We used this data to make general conclusions about color preferences. This represents a novelty of our work. Our work provides current and retrospective look at how color influences our environment, and also provides guidance for professionals. Our method will be instrumental in planning and designing public spaces in educational facilities in order to create inclusive, and comfortable environment. This work may also serve as a supplemental handbook when studying modern technologies and their application to space design.

Presented suggestions and recommendations will help professionals in solving practical tasks and will establish new model for color application in interior design. Topics discussed in this work will supplement the existing knowledge and give new base for further research.